კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023 წელი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

პოლიტიკის მეცნიერება

მოდიფიცირებული პროგრამა

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე

ოქმი N03-2021, 16 დეკემბერი, 2021 წელი

დადგენილება N07–21, 16 დეკემბერი, 2021 წელი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება
პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური
დოქტორანტურა

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი
აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა

ფართო სფერო
სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია
ვიწრო სფერო
სოციალური და ქცევითი მეცნიერებები
დეტალური სფერო
პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
სწავლის სფერო
პოლიტიკის მეცნიერება

სწავლის ხანგრძლივობა
არანაკლებ 3 სასწავლო წელი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით
პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. **პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს 60 კრედიტს.** **1 კრედიტი უდრის 25 ასტრონომიულ საათს.** 1 ასტრონომიული საათი უდრის 60 (50+10) წუთს.

კრედიტი დროის ერთეულში ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ამა თუ იმ კომპონენტის ასათვისებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. კრედიტი ითვალისწინებს სტუდენტის საკონტაქტო (ლექცია და სხვა) და დამოუკიდებელ (შუალედური და დასკვნითი შეფასებისთვის, საშინაო დავალების მომზადებისა და პრეზენტაციისათვის მზადება) მუშაობას.
კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით ან დოქტორანტურის დებულებით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებითა** და უნივერსიტეტის შინაგანაწესით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. როგორც პირველი (შემოდგომის), ასევე მეორე (გაზაფხულის) სემესტრის ხანგრძლივობა მოიცავს 19 კალენდარულ კვირას, შესაბამისად სასწავლო წელი დაგეგმილია 38 კვირაზე.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
Doctor of Political Science

სწავლების ენა

საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე

პროგრამის ხელმძღვანელი

თამარ კიკნაძე, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც აკმაყოფილებს **დოქტორანტურის დებულებით დადგენილ მოთხოვნებს.**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ პირი ვალდებულია უნივერსიტეტს წარუდგინოს დოქტორანტურის დებულებით გათვალისწინებული დოკუმენტები.

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პროგრამაზე ჩარიცხვა მოხდება გასაუბრების შედეგების საფუძველზე. გასაუბრების დროს კონკურსანტს მოეთხოვება:
ზოგადი წარმოდგენა ჰქონდეს თანამედროვე პოლიტიკურ პროცესებსა და ქვეყნის რეალობაში არსებულ პოლიტიკურ პრობლემებზე;
მიმღებ კომისიას წარუდგინოს სამოტივაციო წერილი საკვლევ თემასთან დაკავშირებით;
წარმოადგინოს საკვლევი თემის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მისი კვლევის ინტერესს (კონკურსანტის პროგრამაზე ჩარიცხვის შემდგომ შესაძლებელია წარმოდგენილი პროექტის თემატიკის სრულად ან ნაწილობრივ ცვლილება, დოქტორანტის ინტერესებიდან გამომდინარე);
წარმოადგინოს ორი სარეკომენდაციო წერილი, შესაბამისი დარგის აკადემიური წრეებიდან (კონკურსანტის, პროგრამის პროფილით სამუშაო გამოცდილების არსებობის შემთხვევაში, ერთი სარეკომენდაციო წერილი შესაბამისი დარგის აკადემიური წრეებიდან, მეორე - დამსაქმებელი კომპანიიდან ან ორგანიზაციიდან).

გასაუბრების საკითხები და კონკურსანტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე გამოცდის ჩატარებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე (www.ciu.edu.ge).
თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება კანდიდატს, რომელსაც აქვს სამაგისტრო განათლება სოციალური მეცნიერებების, პოლიტიკის მეცნიერების ან საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში. თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება იმ კანდიდატსაც, რომელსაც არა აქვს შესაბამისი სამაგისტრო განათლება, მაგრამ აქვს პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება ან შრომები ზემოჩამოთვლილ სფეროებში.

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი.

სერტიფიკატის წარდგენისგან თავისუფლდება პირი, რომელსაც საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამა გავლილი აქვს ინგლისურ ენაზე. პირი, რომელიც ვერ წარმოადგენს ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს, ვალდებულია ინგლისურში გამოცდა ჩააბაროს უნივერსიტეტის ენების ცენტრში.

B2 დონის შესაბამისი სერთიფიკატების და ქულების ნუსხა

ტოიფელი (TOEFL PBT)	ქულათა ოდენობა: **არანაკლებ 513 ქულა**
ტოიფელი (TOEFL IBT)	ქულათა ოდენობა: **არანაკლებ 65 ქულა**
ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS)	ქულათა ოდენობა: **არანაკლებ 5,5 ქულა**
ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (Cambridge Exam)	ცოდნის დონე: **არანაკლებ FCE**

პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია როგორც აბიტურიენტებისთვის, ასევე სხვა დაინტერესებული პირებისთვის, გამჭვირვალე, საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით. **http://www.ciu.edu.ge.**

უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის განმარტება „ევროპაში ენობრივი კომპეტენციის შემფასებელთა ასოციაციის“, ALTE–ს (Association of Language Testers in Europe) მიხედვით (www.alte.org)

პროგრამის მიზანი

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის მიზანია

მოამზადოს მკვლევრები და აკადემიური სფეროს სპეციალისტები, რომლებსაც უნარი შესწევთ კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების შესწავლის საფუძველზე მოახდინონ ახალი ცოდნისა და ინფორმაციის აკუმულირება, პოლიტიკის და პოლიტიკური სფეროს აქტუალური საკითხების კვლევა და მეცნიერული ანალიზი.

წარმოდგენილი პროგრამა მიზნად ისახავს ცოდნის გაღრმავებას პოლიტიკის მეცნიერების დარგში, პოლიტიკის საკვანძო საკითხების გამოკვეთას და სპეციალისტების მომზადებას ჩვენი ქვეყნისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი პრობლემების მეცნიერული კვლევისთვის.

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია დოქტორანტს:

- შესძინოს პოლიტიკის მეცნიერების შესახებ უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა;
- გამოუმუშაოს ცოდნის გაფართოების, ინოვაციური მეთოდების გამოყენებისა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- გამოუმუშაოს დარგის აქტუალური საკითხების კვლევისა და მეცნიერული ანალიზის შედეგად დაგროვილი ახალი ინოვაციური ცოდნისა და ინფორმაციის სამეცნიერო და სხვა აუდიტორიისთვის გადაცემისა და გაზიარების უნარი;
- გამოუმუშაოს ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და შეფასების უნარი;
- გამოუმუშაოს საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციების სტანდარტების შესაბამისად სამეცნიერო ნაშრომის გაფორმებისა და გამოქვეყნების უნარი;
- გამოუმუშაოს სამეცნიერო კვლევის აკადემიურად სტრუქტურირების, ლოგიკური მსჯელობისა და არგუმენტირების, აგრეთვე სამეცნიერო კვლევის შედეგების განზოგადების უნარი;
- გამოუმუშაოს პრობლემათა იდენტიფიცირებისა და ანალიზის, აგრეთვე პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი;
- გამოუმუშაოს პოლიტიკის მეცნიერების გლობალურ პრობლემატიკაში იოლად ადაპტირების უნარი;
- მოამზადოს დოქტორი, რომელსაც უნარი შესწევს აქტიურად ჩაერთოს სწავლა-სწავლების პროცესში და სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით ახალი ცოდნა გადასცეს როგორც საუნივერსიტეტო აუდიტორიას, ისე სხვა დაინტერესებულ პირებს.

სადოქტორო პროგრამა მომზადებულია უცხოელ ექსპერტებთან აქტიური კონსულტაციების საფუძველზე. პროგრამაში ინტეგრირებული კვლევითი და სასწავლო კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას, რაც, თავის მხრივ, კურსდამთავრებულს შესაძლებლობას მისცემს, უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით გააცნობიეროს ცოდნის განახლებული ფარგლები. პროგრამა ხელს შეუწყობს დოქტორანტებს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში ჩართვაში.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, ჯგუფური მუშაობა; დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება; შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი, ევრისტიკული მეთოდი; გონებრივი იერიში (Brain storming); როლური და სიტუაციური თამაშები; სწავლების ინდუქციური მეთოდი; სწავლების დედუქციური მეთოდი; ანალიზისა და სინთეზის მეთოდები.**

დარგთან დაკავშირებული სასწავლო კომპონენტების სწავლებისას დიდი ყურადღება დაეთმობა პოლიტიკის მეცნიერების კვლევის მეთოდებს.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ცალკეული ელემენტების დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის შეფასების პრინციპს ეფუძნება.

სემესტრის განმავლობაში პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

- **შუა სემესტრულ შეფასებას;**
- **მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;**
- **დასკვნით შეფასებას.**

ცოდნის შეფასება პროგრამის სასწავლო კომპონენტების მიხედვით:

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა.
სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს საბოლოო შეფასება ითვალისწინებს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასებებს. შუალედური შეფასება შეიძლება მოიცავდეს ყოველკვირეულ მიმდინარე შეფასებებს და შუალედური გამოცდის შეფასებას, ან მხოლოდ შუალედური გამოცდის / გამოცდების შეფასებას. თითოეულ ელემენტს თავისი პროცენტული წილი აქვს შეფასების საერთო სისტემაში.

ყოველკვირეული მიმდინარე შეფასების მიღება სტუდენტს შეუძლია ლექციებსა და სამუშაო ჯგუფში აქტიურობით, საშინაო დავალებების შესრულებით, კონკრეტული სიტუაციური ამოცანის ამოხსნაში მონაწილეობით, წერითი ქვიზების შესრულებით, რეფერატების მომზადებითა და პრეზენტაციებით, ინდივიდუალური თუ ჯგუფური პროექტების მომზადებითა და პრეზენტაციით და ა.შ. ყოველკვირეულ **მიმდინარე შეფასებებში სტუდენტს შეუძლია 40 ქულის დაგროვება;**

- **თითოეულ სასწავლო კომპონენტში შუალედური გამოცდა სემესტრში შესაძლებელია ჩატარდეს რამოდენიმეჯერ (სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე) და თითოეული ფასდება 20 / 30 ქულით;**
- კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია შუალედური შეფასების ელემენტში შემავალი კომპონენტების დაზუსტება: კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის წამყვანი ლექტორი;
- **შუალედურ შეფასებებში სტუდენტმა სულ შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 60 ქულა;**
- **შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 25 ქულის ტოლია;**
- **დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა, შეფასების სისტემაში მისი ხვედრითი წილი მაქსიმუმ 40 ქულაა.**
- **დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 16 ქულის ტოლია;**
- **დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება სტუდენტს,** რომელსაც **შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულების ჯამით უგროვდება მინიმუმ 51 ქულა;**

შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კომპონენტის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

მაქსიმალური დადებითი შეფასებაა - 100 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასება - 51 ქულა;

თითოეულ დისციპლინაში მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების **ევროპული სისტემის (ECTS)** და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის **2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ შესაბამისი შეფასების შემდეგი სისტემით:**

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ქულა	შეფასება	
91-100 ქულა	A	ფრიადი
81-90 ქულა	B	ძალიან კარგი
71-80 ქულა	C	კარგი
61-70 ქულა	D	დამაკმაყოფილებელი
51-60 ქულა	E	საკმარისი
41-50 ქულა	Fx	**ვერ ჩააბარა** (სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება).
0-40 ქულა	F	**ჩაიჭრა** (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი).

დასკვნით გამოცდაზე ჩაჭრილ სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

რაც შეეხება კვლევითი კომპონენტის შეფასებას, კვლევითი კომპონენტის არცერთი სავალდებულო ელემენტი არ ფასდება ქულებით და დოქტორანტს, შესაბამისად, მათი შესრულების შემდეგ, კრედიტი არ მიენიჭება. ფასდება მხოლოდ დოქტორანტის დისერტაცია ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი შეფასებით.

სადოქტორო ნაშრომის შეფასების სისტემა ასეთია:

ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
საშუალო (bene) – დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო; **სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone)** – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.
დამაკმაყოფილებელი (rite) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, **არადამაკმაყოფილებელი (insufficient)** შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 5 იანვრის #3 ბრძანების თანახმად, 51-დან 100 ქულის ჩათვლით ნებისმიერი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტის მიერ შესრულებული და იმავე ან მომდევნო სემესტრში დაცული დისერტაცია ჩაითვლება დასრულებულად და მიენიჭება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პოლიტიკის მეცნიერების

დოქტორის აკადემიური ხარისხი.

დასაქმების სფერო

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია იმუშაოს კვლევით დაწესებულებებში, დასაქმდეს სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში, გაწიოს საექსპერტო საქმიანობა. კურსდამთავრებული უფლებამოსილია აგრეთვე საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაიკავოს აკადემიური თანამდებობა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
გარდა ამისა, უნივერსიტეტს სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ ხელშეკრულებები და მომარანდუმები აქვს გაფორმებული შემდეგ სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციებთან და კვლევით ცენტრებთან:

„საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი“;
„სტრატეგიული კვლევების კავკასიური ცენტრი“;
„მართვის სტრატეგიული ინსტიტუტი“;
ა(ა) იპ „სპეცსამსახურების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის საქართველოს ცენტრი“;
ააიპ „ საზოგადოებრივი დამცველი“ (ორგანიზაცია არის ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის წევრი-ორგანიზაცია);
„დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი“;
ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატის ცენტრი;
პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტი;
საქართველოს მთავრობის კანცელარია, საჯარო სამართლის იურიდიული პირი;
აიპ “ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოების სასწავლო - კვლევითი ცენტრი“;
საინფორმაციო-ანალიტიკური პორტალი „კვირა“;
ა(ა) იპ ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის საერთაშორისო კომპანია-საქართველოს კომიტეტი „ოტავა 98“;
„კავკასიური სახლი“;
სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა;
ტერორიზმისა და პოლიტიკური ძალადობის ცენტრი;
სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო;
„საქართველოს გეოსტრატეგიული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის კვლევების ინსტიტუტი“;
„კავკასიელი ხალხების ეთნოგენეზისის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“;
„საქართველოს ახალგაზრდა დიპლომატთა კლუბი“;
ა (ა) იპ „შეიარაღებული ძალების სამოქალაქო კონტროლის ჯგუფი“;
ა (ა) იპ „ინოვაციისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი“;
ჯორჯ მარშალის სახელობის ცენტრის კურსდამთავრებულთა კავშირ-საქართველო კვლევის ცენტრი.

პროგრამის სტრუქტურა

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა **შედგება სასწავლო (60 ECTS) და კვლევითი კომპონენტებისგან.**

სასწავლო კომპონენტი (60 ECTS)

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტი 60 ECTS კრედიტს მოიცავს. მათ შორის 55 ECTS

სავალდებულო ელემენტებია ხოლო 5 ECTS, არჩევითი ელემენტები.
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში და ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.
ვინაიდან პროგრამაზე სწავლა შეზღუდული არ არის ნებისმიერი სფეროს მაგისტრატურის კურსდამთავრებულთათვის, პოლიტიკის მეცნიერების დარგში არსებული თანამედროვე პრობლემებისა და მათი კვლევის შედეგებში უკეთ გარკვევის მიზნით, პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის გადაწყვეტილებით, სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტებში გათვალისწინებულ იქნა მიმოხილვითი ხასიათის კურსი „**თანამედროვე პოლიტიკის აქტუალური პრობლემები, კვლევა და ანალიზი“**, რომელიც ასევე არანაკლებ საინტერესო იქნება, პოლიტიკის მეცნიერების ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით კურსდამთავრებული მაგისტრანტებისთვისაც.
აღნიშნული სასწავლო კურსის მიზანია პოლიტიკური ინსტიტუტების სტრუქტურის, პროცესების შინაარსისა და დინამიკის ძირითადი კანონზომიერებების კვლევა, გაანალიზება და დოქტორანტებში პოლიტიკური პროცესების პროგნოზირებისა და ანალიზის უნარ-ჩვევების გამომუშავება.

სასწავლო კომპონენტის სავალდებულო (55 ECTS)

სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტები:

- აკადემიური წერა **(5 ECTS);**
- პოლიტიკის მეცნიერების კვლევის მეთოდები **(10 ECTS);**
- სწავლების თანამედროვე მეთოდები **(5 ECTS);**
- სამეცნიერო კვლევების მენეჯმენტი **(5 ECTS);**
- პროფესორის ასისტენტობა **(15 ECTS);**
- თემატური სემინარი **(10 ECTS);**
- თანამედროვე პოლიტიკის აქტუალური პრობლემები, კვლევა და ანალიზი **(5 ECTS).**

სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტები (5 ECTS)

სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტები (მოდულები) სტუდენტს საშუალებას აძლევს საკუთარი სურვილის შესაბამისად ცოდნა შეიძინოს/გაიღრმავოს პოლიტიკის მეცნიერების ერთ–ერთ ქვედარგში და თავისი ინტერესების გათვალისწინებით, კვლევის სფეროდ აირჩიოს მისთვის სასურველი ქვედარგი.
არჩევით სასწავლო კურსებად პროგრამა დოქტორანტებს სთავაზობს შემდეგ არჩევით მოდულებს:

1. **„შედარებითი პოლიტიკის თეორიები, კონცეფციები, პრაქტიკა და ანალიზი“,** რომლის სწავლების მიზანია სხვადასხვა პოლიტიკური ტრადიციების მქონე სახელმწიფოების პოლიტიკური ინსტიტუტების ფორმირების და სახელმწიფო მოწყობის თავისებურებების კვლევა, ანალიზი და პრაქტიკაში განზოგადება;
2. **„კონფლიქტების ანალიზი, მართვა და რეგულაცია“,** რომლის სწავლების მიზანია საერთაშორისო კონფლიქტების სტრუქტურის, შინაარსისა და დინამიკის ძირითადი კანონზომიერებების გაანალიზება და შეასწავლოს სტუდენტებს კონფლიქტების მოგვარების და დარეგულირების გზები, გამოუმუშაოს მათ კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების კვლევის, პროგნოზირებისა და ანალიზის უნარ-ჩვევები;
3. **„ეროვნული უსაფრთხოების პრობლემები და ანალიზი“,** რომლის სწავლების მიზანია დოქტორანტისთვის საინფორმაციო-ანალიტიკური უნარის გამომუშავება ისეთ სფეროში, როგორიცაა ეროვნული უსაფრთხოება და ამ კუთხით მსოფლიო პოლიტიკური პროცესების შეფასება;
4. **"გლობალური პოლიტიკის ძირითადი ტენდენციები და პრობლემები",** რომლის სწავლების მიზანია დოქტორანტებში, გლობალური პოლიტიკის განვითარების ტენდენციების და პრობლემების პროგნოზირების, კვლევის, ანალიზის განხორციელება და მათი დაძლევის გზების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.
5. **„სახელმწიფო აღმშენებლობის და დემოკრატიზაციის პრობლემების ანალიზი პოსტსაბჭოურ სივრცეში“,** რომლის სწავლების მიზანია დოქტორანტებში პოსტსაბჭოურ სივრცეში პოლიტიკური პროცესების, სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა და დემოკრატიზაციის პრობლემების კვლევის,

გაანალიზების, პროგნოზირების და პრობლემების დაძლევის გზების შემუშავების უნარ-ჩვევების გამომუშავება.

სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტების ფარგლებში უნივერსიტეტი სტუდენტს საშუალებას მისცემს საკუთარი სურვილის შესაბამისად, მისთვის საინტერესო სფეროში არსებული, უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა შეიძინოს უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაშიც.

უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსის კრედიტების აღიარება ხდება სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთობლივი დასკვნის საფუძველზე.

კვლევითი კომპონენტი

კვლევითი კომპონენტის სავალდებულო ელემენტებია:

- კვლევითი ნაშრომის დაგეგმვა და დიზაინი;
- კვლევითი ნაშრომის კოლოქვიუმი-1;
- კვლევითი ნაშრომის კოლოქვიუმი-2;
- კვლევითი ნაშრომის კოლოქვიუმი-3;
- სადისერტაციო ნაშრომის დასრულება და დაცვა.

კვლევით კომპონენტის არცერთი სავალდებულო ელემენტი არ ფასდება ქულებით და დოქტორანტს, შესაბამისად, მათი შესრულების შემდეგ, კრედიტი არ მიენიჭება. ფასდება მხოლოდ დოქტორანტის დისერტაცია ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი შეფასებით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 5 იანვრის #3 ბრძანებით განსაზღვრული, 51-დან 100 ქულის ჩათვლით ნებისმიერი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტის მიერ შესრულებული და იმავე ან მომდევნო სემესტრში დაცული დისერტაცია ჩაითვლება დასრულებულად და მიენიჭება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხი.

სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები

სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობაა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის (60 კრედიტის) შესრულება.

გარდა ამისა:

- არანაკლებ სამი სამეცნიერო სტატიის პუბლიკაცია ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ რეკომენდებულ და უნივერსიტეტის მიერ ამ მიზნით აღიარებულ საერთაშორისო რეფერირებად გამოცემებში, რომელშიც ასახული უნდა იყოს სადისერტაციო თემაზე შესრულებული სამეცნიერო კვლევის ძირითადი შედეგები;
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა (პირადად მოხსენების გაკეთება). (დოქტორანტი ვალდებულია მონაწილეობა ჰქონდეს მიღებული ერთ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მაინც. მისი მონაწილეობა უნდა დასტურდებოდეს სერტიფიკატითა და გამოქვეყნებული მასალებით);
- ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტი თავისუფლდება სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების ვალდებულებისაგან, თუ მას სადოქტორო თემასთან დაკავშირებით გამოცემული აქვს შესაბამისი მონოგრაფია.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი

სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

სათანადო ინვენტარითა და საინფორმაციო–საკომუნიკაციო საშუალებებით აღჭურვილი აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;

კომპიუტერული ბაზა - კომპიუტერული კლასები, ინტერნეტსა და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები; სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ;

კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი **ბიბლიო-თეკა**. ბიბლიოთეკაში უხვადაა სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურა, ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოები, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზა და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგი.

უნივერსიტეტის წიგნადი ფონდი სრულადაა ასახული სერვერზე ინტეგრირებულ საბიბლიოთეკო სისტემაში **„openbiblio"** (http://www.ciu.edu.ge/openbiblio).

უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი დარეგისტრირებულია **ასოციაცია "ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის" – eIFL",** მონაწილეთა კონსორციუმის წევრად და მინიჭებული აქვს უფლება, გამოიყენოს შემდეგი ელექტრონული რესურსები:

EBSCO Publishing – შეიცავს 14 საერთაშორისო მონაცემთა ბაზას. წარმოადგენს ჟურნალებისა და საცნობარო გამოცემების უდიდეს კოლექციას, რომელიც მოიცავს: 11000–ზე მეტი დასახელების სტატიას მეცნიერებისა და ბიზნესის პრაქტიკულად ყველა სფეროში. ამერიკის უმნიშვნელოვანესი გაზეთების სრულ სტატიებს, 100 000 დასახელების ელექტრონულ წიგნს. ბაზა გამოირჩევა ძალზე მოხერხებული და ეფექტური საძიებო სისტემით. ხელმისაწვდომია ინტერნეტის ქსელში ჩართული ნებისმიერი ავტორიზებული მომხმარებლისთვის.

საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის უკეთ განხორციელების მიზნით უნივერსიტეტში შეიქმნა:
კავკასიური გეოპოლიტიკური მოდელირების ლაბორატორია;
კონფლიქტებისა და სამშვიდობო პროცესების კვლევის ცენტრი;
ადამიანური უსაფრთხოების კვლევითი ცენტრი;
პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტი;
საქართველოსა და ირანის ურთიერთობების სამეცნიერო-ანალიტიკური ლაბორატორია.

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა

№	საგანი	ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
	სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტები			
1.	აკადემიური წერა დოქტორანტებისთვის	X	X	
2.	პოლიტიკის მეცნიერების კვლევის მეთოდები	X	X	X
3.	სწავლების თანამედროვე მეთოდები	X	X	X
4.	სამეცნიერო კვლევების მენეჯმენტი	X	X	X
5.	თანამედროვე პოლიტიკის აქტუალური პრობლემები, კვლევა და ანალიზი	X	X	X
6.	პროფესორის ასისტენტობა		X	X
7.	თემატური სემინარი	X	X	X
	სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტები			
8.	შედარებითი პოლიტიკის თეორიები, კონცეფციები, პრაქტიკა და ანალიზი	X	X	X
9.	კონფლიქტების ანალიზი, მართვა და რეგულაცია	X	X	X
10.	ეროვნული უსაფრთხოების პრობლემები და ანალიზი	X	X	X
11.	გლობალური პოლიტიკის ძირითადი ტენდენციები და პრობლემები	X	X	X
12.	სახელმწიფო აღმშენებლობის და დემოკრატიზაციის პრობლემების ანალიზი პოსტსაბჭოურ სივრცეში	X	X	X
	კვლევითი კომპონენტი			
13.	კვლევითი ნაშრომის დაგეგმვა და დიზაინი		X	X
14.	კვლევითი ნაშრომის კოლოქვიუმი -1		X	X
15.	კვლევითი ნაშრომის კოლოქვიუმი -2		X	X
16.	კვლევითი ნაშრომის კოლოქვიუმი -3		X	X
17.	დისერტაციის დასრულება და დაცვა	X	X	X

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
CAUCASUS INTERNATIONAL UNIVERSITY

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
CAUCASUS INTERNATIONAL UNIVERSITY